საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

16/10/2025

MES 2 25 0001367193

გადაწყვეტილება

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 05 აგვისტოს №954725 სხდომის ოქმში ტექნიკური შეცდომების გასწორების თაობაზე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 05 აგვისტოს №954725 სხდომის ოქმში შევიდეს შემდეგი სახის ტექნიკური ცვლილებები:
1.1. სხდომის ოქმის 04 ნაწილის მე - 11 გვერდზე საგანმანათლებლო პროგრამის „დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულით)“ ფორმულირება განისაზღვროს შემდეგნაირად:
„დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულებით)“, ხოლო კვალიფიკაციის დასახელება ნაცვლად, "განათლების მაგისტრი", განისაზღვროს როგორც "განათლების მაგისტრი (დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების სწავლების უფლებით)".
1.2. სხდომის ოქმის 04 ნაწილის 22 - ე და 23 - ე გვერდებზე საგანმანათლებლო პროგრამის - "ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები)“ ფორმულირება განისაზღვროს შემდეგნაირად:
„დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები)“. ხოლო საგანმანათლებლო პროგრამის - "ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა)“ ფორმულირება განისაზღვროს შემდეგნაირად: „საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა)".

2. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 16 ოქტომბრის №1353952 ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების კანონმდებლობის შესაბამისად გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა